

ანა არაბული

საფრანგეთი, ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

„განათლების მიღება ჩემთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, ყოველთვის ვცდილობ, რომ ის შესაძლებლობები რასაც კავკასიის უნივერსიტეტი გვთავაზობს მაქსიმალურად გამოვიყენო. ამასთან ერთად, ჩემი ერთ-ერთი მიზანი “Erasmus +” პროგრამაში ჩართვასა და საზღვარგარეთ სწავლასაც წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, როდესაც უნივერსიტეტის შიდა კონკურსში გავიმარჯვე და საფრანგეთში სწავლის საშუალება მომეცა, ძალიან გამიხარდა - ეს ჩემი დასახული მიზნის მიღწევასა და ახალი გამოცდილების მიღებას ნიშნავდა.

საფრანგეთში ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში, კერძოდ, ESPOL (European School of Political and Social Sciences)-ში ვსწავლობდი. უნდა აღვნიშნო, ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საგანს ‘EU Law and Institutions’ წარმოადგენდა. ვფიქრობ, ეს საგანი საინტერესო და პრაქტიკულია, რადგან დაწვრილებით ვისწავლე ევროკავშირის ინსტიტუტების მუშაობის სისტემა, ეს კი, დღევანდელ რეალობაში საკმაოდ გამოსადეგია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების პროცესშია ჩართული.

რაც შეეხება სტუდენტურ ცხოვრებას, საკმაოდ მრავალფეროვანია. უნივერსიტეტში უამრავი კლუბია, რომელსაც თავად სტუდენტები აორგანიზებენ თავიანთი ინტერესების მიხედვით. ძალიან მომწონდა დებატების კლუბი და ‘კამპუსის მარკეტი’, სადაც მეორეული ტანსაცმელი და მცენარეები იყიდებოდა.

თავისუფალ დროს ყოველთვის ჩემს კურსელებთან ერთად ვატარებდი. ქალაქ ლილში უამრავი ადამიანი გავიცანი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. არასდროს მბეზრდებოდა მათგან საინტერესო ისტორიების მოსმენა თავიანთი ქვეყნებისა და ტრადიციების შესახებ. ამასთან ერთად, საფრანგეთის გარდა სხვა ქვეყნებშიც ვიმოგზაურე, როგორებიცაა ბელგია და ნიდერლანდები.

ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. პირველ რიგში, საკუთარი თავი ბევრად კარგად გავიცანი, ადამიანებთან უკეთესი კომუნიკაცია ვისწავლე და მეტად თავდაჯერებული გავხდი ჩემს განათლებასთან მიმართებით. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ჩემგან ასე მოშორებით, არსებობს პატარა ქალაქი, რომელსაც საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, რაც დრო გავა უფრო მეტს გავაანალიზებ ჩემი მოგზაურობიდან, მაგრამ რაც არ უნდა იყოს ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოცემული პროგრამის ნაწილი ვიყავი.”